***პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ТЕЙМУРАЗ — თეიმურაზ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში საგანგაშო ნიშნულს მიაღწია პოლიტიკურმა ფარისევლობამ და შიშმა, ხოლოეროვნული ავტორიტეტების მიზანმიმართული დისკრედიტაცია წარმატებით დასრულდა:***

— ბოლო დროს ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ბრძანა — ამ ორიოდე წლის წინათ, როგორც კი ხელისუფლება ოდნავ შეტორტმანდა, ძალიან ბევრმა მინისტრმა და უმაღლესი თანამდებობის პირმა **ბიძინა ივანიშვილთან** ერთად გადაღებული ფოტოსურათები „ფეისბუქიდან“ გააქრო! არ დავეთანხმები შეფასებას, თითქოს ხელისუფლება შეტორტმანდა და ეს ამის გამო მოხდა. სინამდვილეში, ეს სხვა რამის მანიშნებელია. უბრალოდ, ამ ადამიანებს ეშინიათ და სხვა ბანაკში გადასვლა სურთ. დღეს ხელისუფლებაში მყოფი ძალიან ბევრი პირი პირად შეხვედრებზე ერთს ლაპარაკობს, ხოლო ტელევიზიითა თუ პრესით — სულ სხვას. ვერ ვიტყვით, რომ სულელები არიან; ისინი თავადაც აკეთებენ რეალური მდგომარეობის ანალიზს და სწორედ ეს რეალობა აშინებთ. ჩემი პირადი კონტაქტებით შემიძლია გითხრათ: **„ქართული ოცნების“ შიგნით ძალიან ბევრს მიაჩნია, რომ მათი ამჟამინდელი კურსი დამღუპველია, მაგრამ ხმას ვერ იღებენ.**

**— რატომ ვერ იღებენ ხმას?**

— ვინ უნდა ამოიღოს ხმა — იმ 1200-მა კაცმა, რომლებსაც წლების განმავლობაში ფული პაკეტებით ეძლეოდათ და ეძლევათ?! ეს სია და ამ პიროვნებების ვინაობა რომ გამჟღავნდეს, ისინი არათუ პოლიტიკურ ჩვრებად იქცევიან, რაც პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია, არამედ ეს მათ შთამომავლობასაც უმძიმეს დაღად დააჩნდება.

**— ეგ სია ხომ ცნობილია. უბრალოდ, ახლა საქმე ისაა, ვინ გამოაქვეყნებს მას პირველი. დარწმუნებული ვარ, სიაში მოხვედრილი ბევრი მათგანის ვინაობა თქვენთვისაც კარგად არის ცნობილი!**

— რა თქმა უნდა, ცნობილია! მეც ვიცი ძალიან ბევრის ვინაობა, მაგრამ არ მინდა, ვინმე ხელოვნურად შევიყვანო შეცდომაში. ამიტომ, **ყველაზე კარგი იქნება, თუ ამ სიას თავად ხელისუფლება გამოაქვეყნებს.** ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც უყვარს თავისი ხალხი და ქვეყანა, ამ სიას აუცილებლად გაასაჯაროებდა, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება სწორედ ამ კორუმპირებულ ხალხს ეყრდნობა და, ბუნებრივია, მათი გაშიფვრა არ აწყობს. გეტყვით ერთ რამეს, რაზეც აქამდე არ მისაუბრია: **დღეს ტელევიზიით გამოდის და ბიძინა ივანიშვილსა და „ოცნებას“ საჯაროდ მხარს უჭერს კაცი, რომელიც ადრე მაკრიტიკებდა ჩემი პუბლიკაციების გამო და მეუბნებოდა — „ბიბი“-ს ვერ ებრძვით ისე, როგორც საჭიროაო! რომ ვკითხე, „ბიბი“ ვინ არის-მეთქი? — „ბიძინა ბნელიო“** — მიპასუხა! ვუთხარი: ასეთ რამეს როგორ კადრულობ, როცა თავად ხელისუფლებაში ხარ, მეც კი არ ვიკადრებ ამის თქმას-მეთქი?! მიპასუხა — **ნეტავ ახლა ოპოზიციაში ვიყო და მეტი არაფერი მინდა, რადგან ასეთი სუსტი ოპოზიცია პრაქტიკულად ვერ ებრძვის ხელისუფლებას და მხოლოდ ამაგრებს მასო!**

**— ის, ვინც ამას გეუბნებოდათ, „ოცნების“ ყოფილი წევრია?**

— ყოფილი კი არა, მოქმედი წევრია! ადრე ხელისუფლების გამკრიტიკებელი იყო, მაგრამ ვატყობ, რომ თავადაც იმ 1200-კაციან სიაში მოხვდა და დღეს იძულებულია, აქოს კაცი, რომელსაც **„ბიძინა ბნელს“** ეძახდა. ამიტომ, ხმამაღლა მივმართავ „ქართულ ოცნებას“: **გამოაქვეყნეთ ეს 1200-კაციანი სია, თორემ სწორედ ის ხალხი მოგიღებთ ბოლოს და დაგღუპავთ, ვინც დღეს შიგნით გყავთ და გეთამაშებათ!**

ხელისუფლება, რომელიც არ ასაჯაროებს იმ 1200 კაცის სიას, რომლებსაც ლილუაშვილის ნათესავის ბინაში შენახული პაკეტებიდან ყოველთვიურად დოლარებში ურიგდებოდათ ფული, თავისი ხალხისა და ქვეყნის მტერია.

**— სხვათაშორის, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გრიგოლ ლილუაშვილის ნათესავს, ანდრია ლილუაშვილს, 35 მილიონი დოლარის ღირებულების 70 ბინა და 17 ავტომანქანა ჩამოართვეს.**

— ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი საყრდენი ყოველთვის უშიშროებაა. ვინც სხვას ამბობს, იტყუება. ახლახან ქუთაისში ვიყავი და ყველგან პოლიციის კადრები არიან დანიშნულნი. კულტურის სფეროში, მერებად თუ გამგებლებად — ყველგან პოლიციისა და უშიშროების ხალხია. არჩევნებსაც უშიშროება ატარებს! ვინც არჩევნები ჩაატარა, ის შინაგან საქმეთა და უშიშროების ყოფილი მინისტრები ყველაზე კორუმპირებულები აღმოჩნდნენ. ეს არის თავისი ხალხისა და ქვეყნის მტერია.

# „ვინც ეს ჩაიდინა, მასზე დიდი მტერი არც ივანიშვილს ჰყავს და არც საქართველოს!“





## თემურ შაშიაშვილი:

# ხელისუფლებას თუ მართლა აინტერესებს, რა ხდება რკინიგზაში, ის გაარკვიოს, ვინ აიძულა გია ყრუაშვილი, რომ გამოქვეყნებული მასალები უკან წაეღო და თავისივე სიტყვებზე ეთქვა უარი!




**„ხმამაღლა მივმართავ „ქართულ ოცნებას“: გამოაქვეყნეთ ეს 1200-კაციანი სია, თორემ სწორედ ის ხალხი მოგიღებთ ბოლოს და დაგღუპავთ!“**

## კეირგვინოსნები



**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

ამ კასრებში აღმოაჩინეს საქაღალდე მინაწერით — **„დასაჭერები“** და იყო ძალიან ვრცელი სია დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერთა, **რომლებიც უნდა დაეჭირათ, თუკი 2012 წლის პირველ ოქტომბერს კვლავ მოვიდოდა ქვეყნის სათავეში ნაციონალური მოძრაობა.**

ჩემთვის ყველაზე ამოუცნობია ის, რომ ამ ფაილებში გამოვლენილი ძალიან ბევრი ცნობადი ადამიანი, დღესაც ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია. **ეს რას დავაბრალოთ, „სტოკჰოლმის სინდრომს“, თუ მოუშუშებელ შიშს იმის გამო, რომ დღემდე არიან ამ შანტაჟის მძევლები?!**

„იმედინიუსი“



**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*

კოლექტიურ ნაცმოძრაობაში სევდამ და ნაღველმა დაისადგურა. მათ გულებში ტკივილია, რადგან მათი ნარატივი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის შემდეგ, რომ თითქოს, საქართველო არის სრულ იზოლაციაში და არ ჰყავს საქართველოს არჩეული ხელისუფლება, წამიერად ჩამოშალა პრეზიდენტ ტრამპის წერილმა.

**ფსკერს ქვემოთ დაცემულ ადამიანებს მხოლოდ ნოდარ დუმბაძის სიტყვებით თუ ვუპასუხებთ: „როდესაც შუბლის ძარღვი წყდება, შემდეგ ცხოვრება მარტივდება“.**

„რეზონანსი“



**ლაშა ტუღუში**
*„ლიბერალური აკადემიის“ ხელმძღვანელი*

**საგანგაშო ვითარებაა, ამდენი პოლიტპატიმარი ხელისუფლებისთვის წაგებული თამაშია — საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისითაც, ეს ძალიან მძიმე ფაქტია, დამანგრეველიც კი!**

„ინტერპრესნიუსი“



**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი*

**უნგრეთში ტირანიის ეპოქა დაიწყო!**

„ინტერპრესნიუსი“

დან ბოლომდე გახრწნილი სისტემა. გონებაჩლუნგი ან ქვეყნის მტერი უნდა იყო, რომ ვერ დაინახო — ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი სწორედ ძალოვანი სტრუქტურებია! როცა ვკითხულობ, რა ქონებას ფლობენ ყოფილი შინაგან საქმეთა და მოქმედი უშიშროების მინისტრები, მიჩნდება კითხვა: **ბატონო ბიძინა, ასეთ ადამიანებს რომ ნიშნავთ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე, იქ ხალხზე ვინმე ფიქრობს? ძალიან მეჭვება.**

**— ეს ნარკოტიკები რით ვერ ამოილია ამ ქვეყანაში? ამდენ ნარკობარიგას იჭერენ, მაგრამ ქვეყანა ნარკოტიკებში იხრჩობა!**

— ნარკოტიკები ვერ ამოილევა მანამ, სანამ ქვეყანაში ამ სენის შემოტანისა და ნარკოტიკების გასაღების მთავარი კოორდინატორი თავად ხელისუფლებაა. ნარ-

**„პროკურატურაში დღემდე დევს დვალიშვილის მიერ ჩაბარებული სია, სადაც წერია, ვისი ხელით განადგურდა ქართული ეკონომიკა. გამოაქვეყნეთ ამ ხალხის გვარები და აგებინეთ პასუხი!“**




# „რომელ ეროვნულობაზეა ლაპარაკი, გამარკვიეთ!“

კომანიის აღმოსაფხვრელად პოლიტიკური ნებაა საჭირო, რაც დღეს არ არსებობს. კატასტროფული მდგომარეობაა თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ყველამ ვნახეთ გორში დატრიალებული ტრაგედია, როცა ნარკოტიკებით გაბრუებულმა პირმა დედა-შვილი მოკლა. **სხვათაშორის, თუ ვინმემ იცის სისტემაში არსებული განკიერებების შესახებ, ერთ-ერთი ბატონი გია ყრუაშვილია, რომლის ანალიზებსაც 10-15 წელია ვეცნობი.** როცა მან ნარკომანიის პრობლემაზე მწვავე განცხადება გააკეთა, მასთან უამრავი ახალგაზრდა მივიდა და დახმარება სთხოვა — **„ვილუპებითო!“** გესმით, რამხელა ტრაგედიაა? თავად ამ ახალგაზრდებს არ უნდათ ამ ჭაობში ყოფნა. ახლახან ვიყავი სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და იმერეთში. ხალხი პირდაპირ მეუბნება: **„ბატონო თემურ, რა აზრი აქვს ლაპარაკს? ჩვენ, რიგითმა ადამიანებმა, ვიცით, ინტერნეტში რომელ საიტზე იყიდება ნარკოტიკი და მთავრობამ ვერ გაიგო?!“**

**— „საქართველოს რკინიგზასთან“ დაკავშირებით თქვენ მწვავე ფაქტები გქონდათ. სხვათაშორის, ამ ბოლო დროს რკინიგზაში რამდენიმე პირი დაიჭირეს და როგორც გია ყრუაშვილი ამბობს, ეს სწორედ მის მიერ მიწოდებული მაკომპრომეტირებელი მასალების საფუძველზე მოხდა!**

— ხელისუფლებას თუ მართლა აინტერესებს, რა ხდება რკინიგზაში, ის გაარკვიოს, ვინ აიძულა **გია ყრუაშვილი,** რომ გამოქვეყნებული მასალები უკან წაეღო და თავისივე სიტყვებზე ეთქვა უარი! **ვინც ეს ჩაიდინა, მასზე დიდი მტერი არც ივანიშვილს ჰყავს და არც საქართველოს!** სწორედ ისინი არიან მთავარი მექრთამეები და ამიტომაც არ აწყობთ სიმართლის გაგება.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდები მმართველი გუნდის თემას: მე ვიცნობ „ოცნების“ წევრებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც პირად საუბრებში საშინელებებს ყვებიან სისტემაზე, მაგრამ ტელევიზიით სულ სხვას ამბობენ. **ბიძინა ივანიშვილს დღეს გაცილებით რთულად აქვს საქმე, ვიდრე თავად ჰგონია.** აი, მაგალითად, გავაკეთოთ საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მოკლე ანალიზი: ეს არის მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფული! ქვეყნის რეალურ სექტორში არაფერი ხდება. თუ არ ვცდები, პროკურატურაში დღემდე დევს **დვალიშვილის მიერ ჩაბარებული სია,** სადაც წერია, ვინ აიღო თავის დროზე ასობით მილიონი კუპონი, გადაახურდავა დოლარებში და ვისი ხელით განადგურდა ქართული ეკონომიკა. იგივე ეხება ნულოვან აუქციონებს — ვინ ჩაიგდო კაპიკებში ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრეები? **გამოაქვეყნეთ ამ ხალხის გვარები და აგებინეთ პასუხი! დღეს, ვინც საქართველოში რამეს აწარმოებს, გაწამებულია, ხოლო, ვისაც გარედან შემოაქვს პროდუქცია და ამით ადგილობრივ წარმოებას კლავს — სასახლეებს იშენებს!**

**— ანაკლიის პორტზეც უნდა გკითხოთ! ვისია ანაკლია? ვინ აშენებს მას? აქამდე ზარ-ზეიმით აცხადებდნენ, ჩინეთი აშენებსო, ახლა კი გაგვაგებინეს, რომ თურმე მსოფლიოში ცნობილი პორტები „ლენდლორდის“ პრინციპით შენდება. საბოლოოდ რა ხდება, შენდება საერთოდ ეს პორტი?**

— ანაკლიის პორტის მშენებლობის თემა იმდენად გასაიდუმლოებულია, რა ვერსიაც არ უნდა დავასახელოთ, ყველაფერზე შემოგვეკამათებიან. ერთ ქალაქში ვიყავი და მითხრეს — ეკონომიკურად აქტიურ ზონებში ჯერ ნაცმოძრაობის წევრებმა ჩაიგდეს მიწები კაპიკებში, შემდეგ ცენტრიდან ბაზარიც იქით გადაიტანეს, რომელიც სწორედ „ოცნების“ წევრებმა გადაიფორმესო. **ანაკლიის პორტს, სავარაუდოდ, ხელისუფლების გუნდიდან გარკვეული ჯგუფი ეუფლება. როგორც წლების წინ გვეგონა, რომ სააკაშვილის დროს სკოლები სოროსის ფონდის ფულით რემონტდებოდა, და მერე აღმოჩნდა, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის ფული იყო.** ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, საკუთარი სახელი და მომავალი თაობები გადაარჩინოს! არადა, უძვირფასესი მინერალური წყალი „ლუგელა“, რომელიც ძვლების გამაგრებისთვის შეუცვლელია, დღეს რუსი ოლიგარქების ხელშია! ცხადია, მათ უკან ქართველები დგანან. მერე ხელისუფლებას უკვირს, რატომ გვაბრალებთ პრორუსობასო!

საქართველოში ავტორიტეტები გაანადგურეს. დაახლოებით 15 წლის წინ, როცა „ქართული ერთობის დარბაზის“ წევრები — **რეზო ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, არნოლდ გეგეჭკორი, გივი თოიძე, ომარ მხეიძე, ტარიელ ხარხელაური, რომან რურუა** პატრიარქს ვხვდებოდით, **ილია მეორემ** გვითხრა: ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება ავტორიტეტებთან ბრძოლააო! დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს ბრძოლა „წარმატებით“ დაასრულა — ქვეყანას ზნეობრივი ავტორიტეტი აღარა ჰყავს! ამ დღეებში ერთმა პიროვნებამ ზუსტად მითხრა: **„ბატონო თემურ, მართლა იმ ადამიანების იმედი გაქვთ, რომელთაც ხალხის სიყვარული ხელისუფლების მონობაზე გაცვალესო?“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**რომელ ეროვნულობაზეა ლაპარაკი, გამარკვიეთ?!**

**3 მილიარდი დოლარის საკვები შემოგვაქვს მთელი თვის განმავლობაში გარედან, თანაც სად? — ბარაქიანი მიწების ქვეყანაში, რითაც საქართველო ყოველთვის გამორჩეული იყო!**

**ეროვნულობაა ის, რომ**

**დემოგრაფია კატასტროფულ მდგომარეობაშია?!**

**ეროვნულობაა ის, რომ**

**იცლება ქვეყანა?! და ქვეყნის გარეთ უფრო მეტი ქართველი და საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს, ვიდრე ქვეყნის შიგნით?!**

**ეროვნულობაა ის, რომ**

**ქვეყნის გარეთ საქართველოს მოქალაქეებს ელემენტარული უფლებები არ გააჩნიათ, ხოლო იმ ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში ყველა უფლება აქვთ და ყველანაირად დაცულები არიან?!**

**ეს არის ეროვნულობა?! ესაა ფიქრი ეროვნულ ინტერესებზე?!**

**ან თუნდაც ასეთი პრეზიდენტი რომ გვყავს, ესაა ეროვნულობა?! ასეთი პარლამენტი რომ გვყავს, ესაა ეროვნულობა?!**

**პარლამენტში პოლიტიკოსი არ არის! ფულის ტომრები რომ გვყავს პარლამენტში, ესაა ეროვნულობა?!**

**განა ეს არ არის შეურაცხყოფა საკუთარი ხალხის?! ვაკრიტიკებთ ტრამპს, რუბიოს, პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს თუ კანცლერებს ყველა ქვეყნის, ერთმანეთისთვის სიტყვა ვერ გაგიბედავთ პარტიის შიგნით!**

**და ამას ჰქვია ეროვნულობა, ხალხო?!**
**მიწას რომ ვყიდით, ესაა ეროვნულობა?!**

**ის, რომ ოქრო და მანგანუმი გადის ქვეყნის გარეთ, ხე-ტყე და ნედლეული რომ გადის ქვეყნის გარეთ,**

**ესაა ეროვნულობა?!**

**გეკითხებით მეათასეჯერ —**

**რომელ ეროვნულობაზე ლაპარაკობთ –**

**ტელევიზიით გამოდიხართ და გაიძახით: „არ დავაჩაგვრინებთ თავს არავის“.**

**თქვენ არავის არ აჩაგვრინებთ საკუთარ თავს, თქვენ თვითონ ჩაგრავთ ხალხს, ქართველ ხალხს! საქართველოს მოსახლეობას!**

**ხელისუფლება და ოპოზიცია — ორთავენი ჩაგრავთ, თქვენ ერთნაირად...**

**ესე იგი, ერთნაირად ბატონობთ საქართველოზე და ქართველ ხალხზე და სწორედ ესაა უბედურება!**

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ვინც არ უნდა ვიყო, **მე ვარ საქართველოს პრეზიდენტი, ვარ ქართველი, ვარ მარადიული საქართველოს ნაწილი და იმ წინაპრების შთამომავალი, რომლებმაც სისხლისა და დიდი ბრძოლების ფასად მოიტანა ეს ქვეყანა აქამდე!**

„პირველი არხი“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



**არცერთი ბანკი არ არის ქართული. არადა, ხომ შეიძლებოდა, შეგვექმნა საადგილმამულე ბანკი,** გაგვეცოცხლებინა ილია ჭავჭავაძის იდეა და საქმე და ეს ფული იქ ჩაგვედო?! თუნდაც ერთი ქართული ბანკი შეგვექმნა — **სახელმწიფო ბანკი?** ამით, ჯერ ერთი, ფულს გავაიაფებდით საკრედიტო ბაზარზე და ხალხი ამოისუნთქავდა, მეორე მხრივ კი, **დაგვეფინანსებინა ქართული ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა აგვეღორძინებინა!**

„თბილისელები“

**გრიგოლ გეგელია**
*„ლელო — ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**საქართველო მართლაც იქცა კუნძულად, ოღონდ არა მშვიდობის, არამედ სიღარიბისა და უპერსპექტივობის.**

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი, პატიმარი*



**ანწუხელიძის, რომელაშვილების** ქვეყანაში როდემდე ვაპირებთ ასე ცხვრებივით ყოფნას?! **გაიღვიძეთ, თორემ სიზმრებსაც გაგვიკონტროლებენ.**

„ინტერპრესნიუსი“